ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4179949

ნომერი: AR1631179

თარიღი : 19.09.2018

გაცემის თარიღი : 17.10.2018

გაცნობის თარიღი : 17.10.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გორგასალი , N 9;

დამკვეთი-განმცხადებელი
- რუსუდან ღვინიაშვილი პ/ნ 01022005388
- ქ. თბილისი, აფხაზის 44

ორგანიზაცია:
- შპს "მეიდან ჯგუფი" კოდი: 204523239

ნომენკლატურა :

- სარეაბილიტაციო სამუშაოები (დაზვერვა, გაწმენდა, კონსერვაცია, რეკონსტრუქცია, რესტავრაცია, ადაპტაცია, უძრავი ძეგლის ცვლილება)
- II კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: ბალნეოლოგიური საავადმყოფო
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ნიკოლოზ ჩხაიძე

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს ‘’თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი’’

- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 204380035
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ლაშა ქევანიშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01024006506

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 3701668
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 27.11.2017

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის პროექტის განხილვის, ნებართვისა და სანებართვო მოწმობის გაცემის შესახებ 2017 წლის 27 ნოემბრის №3701668 ბრძანებასა და უძრავ ძეგლზე სამუშაოების სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2017 წლის 27 ნოემბრის №3701668 ბრძანებით მოწონებულ იქნა ქ. თბილისში (სექტორი - მთაწმინდა), გორგასალის ქ. N9-ში (ძეგლი) მდებარე არსებული შენობის რეკონსტრუქციის არქიტექტურული პროექტი და გაიცა უძრავ ძეგლზე სამუშაოების ნებართვა და სანებართვო მოწმობა, რომელიც ძალაშია 2017 წლის 27 ნოემბრიდან 2018 წლის 27 სექტემბრის ჩათვლით;

2018 წლის 19 სექტემბერს N AR1631179 განცხადებით მოგვმართა შ.პ.ს. „თბილსის ბალნეოლოგიური კურორტი“-ს მენეჯერის მინდობილმა პირმა რ. ღვინიაშვილმა (2017 წლის 28 მარტის მინდობილობა), რომელიც ითხოვს მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელების მიზნით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 27 ნოემბრის №3701668 ბრძანებასა და უძრავ ძეგლზე სამუშაოების სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილებების განხორციელებას.

სამსახურმა განცხადების განხილვის შედეგად გადაწყვიტა, რომ მოთხოვნა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 63-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 27 ნოემბრის №3701668 ბრძანებასა და უძრავ ძეგლზე სამუშაოების სანებართვო მოწმობაში, კერძოდ: "ნებართვა ძალაშია 2018 წლის 27 სექტემბრის ჩათვლით" შეიცვალოს "ნებართვა ძალაშია 2019 წლის 19 აგვისტოს ჩათვლით"
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 27 ნოემბრის №3701668 ბრძანებასა და უძრავ ძეგლზე სამუშაოების სანებართვო მოწმობასთან ერთად.

- სამშენებლო დოკუმენტის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს. სამსახური პასუხისმგებელია მხოლოდ მის მიერ დამოწმებული დოკუმენტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

- თუ ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოები არ შეესაბამება სანებართვო დოკუმენტაციას, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო დამრღვევის მიმართ გაატარებს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით განსაზღვრულ ღონისძიებას.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.